პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ოქტომბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 208 (9875) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ოლიმპიადა დამთავრდა, ოლიმპიადა იწყება

სეულის ოლიმპიური ახპარეზობა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. მაგრამ სპორტულ არენებზე ვნებათა ღელვა ისეთი დიდი იყო, რომ დღესაც პლანეტაზე განაგრძობენ ათლეტების გამოსვლების, მათი მიღწევების განხილვას. სპეციალისტებს კიდევ მოუწევთ დეტალურად გააანალიზონ 1988 წლის ოლიმპიური ახპარეზობის შედეგები. მაგრამ ინტერესმოკლებული არ არის მათი აზრი ახლაც, „ცხელ კვალზე". ამიტომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ „მრგვალ მაგიდასთან" მოიწვია სსრ კავშირის სპორტახკომის თავმჯდომარის მოადგილე ვახილ გრომიკო, რესპუბლიკის სპორტახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე, სსრ კავშირის სპორტახკომის სპორტის ორთაბრძოლათა სამმართველოს უფროსი გენადი ნაპუნოვი, ტანვარჯიშის სამმართველოს უფროსი ლეონიდ არკაევი და მძლეოსნობის სამმართველოს უფროსი ლევან ხანაძე.

ნ. ენდელაძე: ალბათ, სწორი იქნება, თუ ჩვენ დღევანდელ შეხვედრას არ მივუძღვნით საქართველოს სპორტსმენების გამოსვლების დეტალურ ანალიზს — ამის შესაძლებლობა რესპუბლიკის ჟურნალისტებს უახლოეს დროს მიეცემათ. ჩვენს დღევანდელ თანამოსაუბრეებს კი შეუძლიათ გვიამბონ ბევრი რამ საინტერესო იმ ატმოსფეროზეც, რომელიც გამეფებული იყო ოლიმპიადაზე, და მთელი საბჭოთა სპორტის პრობლემებზეც. სსრ კავშირის სპორტსახკომის ხელმძღვანელობასთან უკანასკნელი წლების მანძილზე დამყარებული გვაქვს მჭიდრო საქმიანი კონტაქტები. ოლიმპიური ასპარეზობის წინ რესპუბლიკის სპორტსმენებმა მისგან სრული მხარდაჭერა მიიღეს ყველა მოწყობილი პრობლემის გადაჭრაში. გამოიჩინეს სრული ობიექტურობა ოლიმპიური გუნდის მონაწილეთა შერჩევაში. ჩვენი რესპუბლიკიდან სეულში გაემგზავრნენ სწორედ ისინი, ვინც ამას იმსახურებდა.

ვ. გრომიკო: — ვფიქრობ, რომ ჩვენ, ისე როგორც ნაკრები გუნდების მწვრთნელები, არ შევმცდარვართ არჩევანში. საქართველოს წარგზავნილებმა ღირსეულად წარმოადგინეს საბჭოთა სპორტი. მათ სეულში მნიშვნელოვნად მეტი ჯილდო მოიპოვეს, ვიდრე მათთვის იყო დაგეგმილი — 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით თავი დავაღწიოთ ისეთ ბიუროკრატულ გადმონაშთს, როგორიც არის მიღწევათა დაგეგმვა სპორტში.

საერთო „უულაბაში" შეტანილი წვლილის მიხედვით თქვენი რესპუბლიკა მეხუთე ადგილზეა, რაც დიდი წარმატებაა. ეს მიღწევა ადვილად აიხსნება. შარშან მე ვიყავი საქართველოში გამართული სპორტული სკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — ასპარეზობის მთავარი არბიტრი. და დავრწმუნდი, თუ რა დიდი ყურადღება ეთმობა აქ უკანასკნელ წლებში ჭაბუკთა სპორტის განვითარებას, არა მარტო სპორტული ბაზების, არამედ მთელი კომპლექსების მშენებლობას, რომლებშიც შექმნილია დიდი სპორტის რეზერვის მომზადების ყველა პირობა.

წლევანდელ ოლიმპიადას მთელი რიგი თავისებურებანი ჰქონდა. ჯერ ერთი, იქ შეიკრიბნენ ოლიმპიური თანამეგობრობის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, რამაც მთლიანად გაამართლა მისი დევიზი — „ჰარმონია და პროგრესი". მეორეც, 12 წლის შემდეგ საბჭოთა ოლიმპიელები პირისპირ შეხვდნენ დასავლეთის ქვეყნების საუკეთესო ათლეტებს. სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც მიიღწევს 50 ოქროს მედლის მიჯნას, და რაც მხოლოდ სამი ქვეყნის გუნდს — სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებებს შეეძლოთ. როგორც ცნობილია, 237 უმაღლესი ჯილდოდან, ჩვენ მოვიპოვეთ 55, სულ — 132 მედალი, ასპარეზობაზე გათამაშებული ჯილდოების მეექვსედი. ოლიმპიური ჩემპიონი გახდა 125 საბჭოთა სპორტსმენი — გუნდურ სახეობათა გათვალისწინებით. მოვიყვან ასეთ ციფრებს: რვა ოლიმპიადაზე გამოსვლისას, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს 1010 მედალი — 393 ოქროს, 321 ვერცხლის და 296 ბრინჯაოსი.

ვ. საპუნოვი: — რაკი სიტყვა ჩამოვარდა მედლებზე, უნდა ვთქვა, რომ ჩვენმა მოჭიდავეებმა დაკარგეს რამდენიმე უმაღლესი ჯილდო. ამის მიზეზი ორია. ახლანდელი თაობის ათლეტები, რომლებიც წარმატებით გამოდიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ამავე დროს არ იცნობენ ოლიმპიადების სიმძაფრეს, მათ ატმოსფეროს. იგი კი განსაკუთრებული, ნერვიულია. სწორედ თავდაჯერა, ფსიქოლოგიური განწყობა დააკლდა მრავალ სპორტსმენს. უწინარეს ყოვლისა, ამ ფაქტორმა დააღალატა მთელი რიგი ქართველი მოჭიდავეები, რომლებმაც იგრძნეს გამარჯვების სიახლოვე და დაკარგეს საკუთარი „მე".

იხ. ფე.2 ფე

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲨᲐᲮᲜᲐᲙᲕᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

მ. ჩიბურდანიძე — ნ. იოსელიანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∅c3 e6 3. ♗f3 a6 4. d4 cd 5. ♘:d4 d6 6. ♗d3 ♘f6 7. 0-0 ♗e7 8. f4 ∅c6 9. ♘:c6 bc 10. ♕e2 ♗d7 11. e5 d5 12. f5 ef 13. ♗:f5 0-0 14. e6 ♘f6 15. ♗g5 a5 16. ♖fh1 fe 17. ♗:e6+ ♖fh8 18. ♗:c8 ♖:c8 19. ♕e6 ♕d6 20. ♖fe1 ♕:e6 21. ♖:e6 ♗b4 22. ♗:f6 ♖:f6 23. ♖:f6 gf 24. ♗e2 ♗c5 25. ♗f4 ♗e3 26. ♗d3 c5 27. ♖d1 c4 28. ♗e1 d4 29. g3 c3 30. bc ♖:c3 31. ♖d3 ♖c4 32. ♖g2 ♖a4 33. a3 ♗c1 34. ♗f3 ♖:a3 35. ♖:d4 a4 36. ♖d8+ ♖g7 37. ♖d7+ ♖g8 38. ♗d4 ♖c3 39. ♖a7 a3 40. ♖h3 ♖c4 41. ♗b5 ♖:c2 42. ♘:a3 ♖c5 43. ♖g2.

პარტია გადაიდო.

მატჩი შექმნილი მდგომარეობა პრეტენდენტს აიძულებს მხოლოდ და მხოლოდ შეტევაზე **იფიქროს,** მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე ითამაშოს. თითქოს, რისი იმედიღა უნდა ჰქონდეს ნანა იოსელიანს — მსოფლიო ჩემპიონს ტიტულის შესანარჩუნებლად ხომ ერთადერთი ქულის მოპოვება სჭირდება დარჩენილ 4 შეხვედრაში, ნანას 3,5 ქულა აკლია სანუკვარი მიზნის მისაღწევად. დაგვეთანხმებით, ძნელზე ძნელი დილემის წინაშე დგას პრეტენდენტი. მაგრამ ნანა იოსელიანს მძიმე, თითქოს და უიმედო სიტუაციაშიც კი არ შეუძლია გულგრილად, ზერელედ თამაში და აი, მეცამეტე პარტიაშიც მან მხოლოდ მოგება დაისახა მიზნად. თუმცა დებიუტში მსოფლიო ჩემპიონმა საკმაოდ აგრესიულად შეუტია შავების მეფის ფრთას. იოსელიანმა იოლად გაათანაბრა პოზიცია და ცოტა ხანში უპირატესობას დაეუფლა, მაგრამ მანამდე პრეტენდენტმა არც თუ ზუსტად ითამაშა. სპეციალისტების აზრით, 13. ...0-0-ის ნაცვლად მას მხედარი c5 უჯრაზე უნდა გადაეყვანა. ამ შეფერხებით იოსელიანმა უფრო აქტიური თამაშის საშუალება დაკარგა (სხვათა შორის, ∅c5-ის თამაში მე-14 სვლაზეც შეიძლება).

—ენდშპილში იოსელიანმა ლაზიერის ფრთის პაიკები აამოძრავა და თითქოს საგრძნობი უპირატესობაც მიიღო. თეთრების ეტლი და მხედარი პასიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ იოსელიანმა კვლავ არაზუსტად ითამაშა, ცაიტნოტში იჩქარა 35. ...a4, შემდეგ 39. ...a3 სვლების თამაში, რის შემწეობითაც ჩიბურდანიძემ შეძლო პაიკების გაცვლა და დაფაზე სრულიად საყაიმო პოზიცია შეიქმნა.

პარტიაც ზუსტად ასეთ თანაბარ პოზიციაში გადაიდო.

კიდევ რა შეიძლება ითქვას ამ პარტიის შესახებ? ნანა იოსელიანი ამ მატჩში უკვე მერამდენედ ხელიდან უშვებს უპირატესობას და მეტოქეს პოზიციის გათანაბრების საშუალებას. მაია ჩიბურდანიძე კი, მას შემდეგ, რაც ანგარიშში დაწინაურდა, ისიც ორი ქულით, უფრო ფრთხილ თამაშს არჩევს, იგი ხომ ყოველ ნახევარ ქულას მიზნისაკენ მიჰყავს.

დავით ჯელიძე,
ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.
თელავი.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

თელავში უნდა დამთავრებულიყო მატჩის მე-13 გადადებული პარტია, მაგრამ მეტოქენი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ანგარიში გახდა 7,5:5,5 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. შემდეგი მე-14 პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს. თეთრი ფიგურებით ითამაშებს პრეტენდენტი.



ᲒᲖᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ალმა-ათის საერთაშორისო ტურნირი მეტად მნიშვნელოვანი შეჯიბრება გახლდათ ახალგაზრდა (1969-1970 წ.წ. დაბ.) კლასიკური სტილის მოჭიდავეებისათვის. თავისთავად ამ ტურნირში გამარჯვება ისედაც საპატიო წარმატებაა, გარდა ამისა, იგი საბჭოთა სპორტსმენებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი შესარჩევი ასპარეზობა გახლდათ მსოფლიო პირველობაში მონაწილეობისთვის, რომელიც მომავალ წელს გაიმართება. გამარჯვებულებს სანახევროდ გარანტირებული აქვთ ნაკრებ გუნდში მოხვედრა, ოღონდ მათ ქვეყნის ახალგაზრდულ პირველობაზეც უნდა დაამტკიცონ თავიანთი ძალა.

ყაზახეთის დედაქალაქში გამოდიოდნენ თითქმის ყველა სოციალისტური ქვეყნის, აგრეთვე ფინეთისა და შვეიცის სპორტსმენები. 90 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო თბილისელი რამაზ გადაბაძე (მწვრთნელი ოთარ ტატიშვილი), ამ სპორტსმენმა, ალბათ გახსოვთ, წელს მსოფლიო თასიც მოიგო თანატოლთა შორის.

ალმა-ათაში მეორე ადგილები დაიკავეს აკაკი ჩაჩუამ (62 კგ) და უშანგი კაბულოვმა (90 კგ), მესამე — ნაიბი დვალიძემ. ყველა სპორტსმენი თბილისელია, ამასთან, გადაბაძე, ჩაჩუა და დვალიძე არმიელები არიან, კაბულოვი — „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი.

ს უ რ ა თ ბ ე: რამაზ გადაბაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

I ᲚᲘᲒᲐ

◎ **„ᲒᲣᲠᲘᲐ" (ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ) — „ᲖᲕᲔᲖᲓᲐ" (ᲞᲔᲠᲛᲘ) 6:1**

◎ **„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲒᲐᲗᲣᲛᲘ) — „ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘ" (ᲢᲘᲣᲛᲔᲜᲘ) 3:1**

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 42-ე ტურის მატჩები.

ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა ლანჩხუთის „გურიამ" თავის მინდორზე მიიღო პერმის „ზვეზდა".

„გურიამ" სრული უპირატესობით, დამაჯერებლად ჩაატარა მატჩი და გაიმარჯვა ანგარიშით 6:1.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ტიუმენის „გეოლოგი". ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ბათუმელებმა.

დუშანბეში „პამირმა" მოუგო „დაუგავას" (2:0) და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა.

ᲝᲠᲘ ᲤᲣᲠᲜᲘᲠᲘ

აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში გაიმართა ჭაბუკ სამბისტთა ტრადიციული საკავშირო ტურნირი, რომელიც მეომარ ინტერნაციონალისტს, წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერს რუსტამ კაგრამანოვის ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირში 140 სამბისტი გამოდიოდა.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა მოჭიდავეებმა. 87 კილოგრამის წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო **ვანელი მოსწავლე აკაკი ხურციძე.** კოლმეურნეობა „სალხინოს" წევრმა ბენო ბაღდავაძემ (97 კგ) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე ადგილები მოიპოვეს ჩვენმა მოჭიდავეებმა მიხეილ გოგაძემ (97 კგ), პაატა შალამბერიძემ (65 კგ) და მეჰმან მამედოვმა (70 კგ).

ᲑᲝᲠᲩᲘᲡ ოლქის ქალაქ კეტოვის საჭიდაო ხალიჩაზე 240 სამბისტი შეიკრიბა. მათ შორის იყო მესტიელი ლერი ჟორჟოლიანი (100 კგ), რომელმაც სამი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ნახევარფინალური ბრძოლა წააგო და მესამე საპრზო ადგილზე გავიდა. ამით მან სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

რაუფ შაფიევი,
საკავშირო კატეგორიის მხაჯი.

ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲚᲘᲞᲔᲪᲙᲘᲗᲘ გაიმართა ჭაბუკთა (1973-1974 წლებში დაბადებულნი) საკავშირო ტრადიციული ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. ხალიჩაზე ქვეყნის 25 ქალაქის 320 მოჭიდავე გამოვიდა. ჩვენი რესპუბლიკა წარმოდგენილი იყო თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ჭიდაობის სკოლის (დირექტორი ა. გიორგობიანი) ათი ფალავნით. ქართველმა მოჭიდავეებმა საუკეთესოდ ჩაატარეს ტურნირი და დამსახურებულად მოიპოვეს გუნდური პირველობა.

ჩემპიონობა ჩვენმა სამმა მოჭიდავემ გაინაღდა — შალვა იშხანიშვილმა (56 კგ), ემილ ტამოევმა (60 კგ) და ზაზა სილაგაძემ (80 კგ). მეორე ადგილებზე გავიდნენ შოთა ადანაია (60 კგ), გიორგი ხმიადაშვილი (69 კგ) და ფირანი კაპანაძე (87 კგ). გოჩა წულეისკირი (80 კგ) მესამე იყო, შოთა ბენდუკიძე (74 კგ) —მეოთხე, შოთა ლალაშვილი (42 კგ) — მეხუთე, გოჩა არაბული (45 კგ) — მეექვსე.

აღსანიშნავია, რომ თბილისელმა მოსწავლემ შ. იშხანიშვილმა რვავე შეხვედრა მოიგო სუფთად და ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი დაიმსახურა.

საქართველოს გუნდი ამ შეჯიბრებისათვის მოამზადეს სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. აკოფოვმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. ფახლევანიანმა, სპორტის ოსტატებმა თ. თათარაშვილმა და ფ. კენჭოშვილმა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა მორიგი ტურის მატჩები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. როგორც ცნობილია, კაუნასის „ჟალგირისმა" ჩემპიონატის სტარტზე მარცხი განიცადა მოსკოვის „დინამოსთან" და ახლა დაკარგულის ანაზღაურების ცდილობს. „კალევთან" პირველ მატჩში კაუნასელებს პრობლემები არ ჰქონიათ: ტაიმი „ჟალგირისმა" 14 ქულით მოიგო, შეხვედრა კი ანგარიშით — 106:86.

განმეორებითი მატჩი უფრო მძაფრი და დაძაბული გამოდგა; განსაკუთრებით შესვენების შემდეგ, და თუ „ჟალგირისმა" მაინც მოიპოვა გამარჯვება, ამას, გუნდი, პირველ ყოვლისა, არვიდას საბონისს უნდა უმადლოდეს, რომელმაც თავის კოლექტივს 31 ქულა შესძინა. შეხვედრის ანგარიშია 92:90 (54:42) კაუნასელთა სასარგებლოდ.

ᲠᲘᲒᲐ. ადგილობრივი ვეფ-ისა და მოსკოვის დინამოელთა ორთაბრძოლაში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო, რომლებმაც პირველი მატჩი მოიგეს ანგარიშით 115:102 (53:63), მეორე კი 112:76 (53:43).

ᲒᲣᲨᲘᲜ...

კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სტადიონზე გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი: „დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი). გაიმარჯვეს უკრაინელმა კალათბურთელებმა — 85:80 (40:42).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 27 ოქტომბრისთვის

„დინ." (მოსკ.)	8	4	4	802-788	12
ახკ (ალმა-ათა)	6	4	2	618-573	10
„სტატ." (ვილ.)	6	3	3	583-519	9
ცსკა	4	4	0	415-325	8
რტი (მინსკი)	4	4	0	361-331	8
„კალევი" (ტალ.)	6	2	4	508-524	8
„ჟალგ." (კაუნ.)	4	3	1	410-388	7
„სტროიტ." (კ.)	4	3	1	378-372	7
ვეფ (რიგა)	6	1	5	520-613	7
„დინამო" (თბ.)	4	1	3	366-403	5
„სპარტ." (ლენ.)	4	1	3	309-361	5
„შახტ." (დონ.)	4	0	4	332-410	4

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:. ცხრილში შეტანილი არ არის თბილისის „დინამოსა" და კიევის „სტროიტელის" გუშინდელი მატჩის შედეგი.

ოლიმპიადა დამთავრდა, ოლიმპიადა იწყება

(დასასრული)

დიახ, ლერი ხაბელოვი ფინალში ტრავმირებული იბრძოდა, მაგრამ მეტოქე იმდენად ნაკლები კლასის მოჭიდავე იყო, რომ მისი დამარცხება ლერის ცალ ფეხზე მდგომსაც შეეძლო. იგივეს ვიტყვით გურამ გედეხაურზე, გიორგი თენაძეზე, ორივე დიდი ოსტატია, მაგრამ დამარცხდნენ ისეთ მეტოქეებთან, რომლებიც არაერთგზის დაუჯაბნიათ, ვერ შესძლეს საკუთარი თავის დაძლევა, ორთაბრძოლისათვის განწყობა, როგორც ეს მოახერხეს დავით გობეჯიშვილმა, მიხეილ მამიაშვილმა, სერგეი ბელოგლაზოვმა...

მაგრამ იყო კიდევ ერთი მიზეზი, რომელზეც გაჩუმება არ შეიძლება — ცუდი მსაჯობა. მას ემსხვერპლა მრავალი ჩვენი მოჭიდავე, მათ შორის ამირან ტოტიკაშვილი. საქმე ეხება არა მსაჯების შეცდომებს, არამედ მათ აშკარა მფარველობას ოლიმპიადის მასპინძლებისადმი. ამით, უწინარეს ყოვლისა, დაზარალდნენ ჩვენი ძიუდოისტები, რომლებმაც ვერ მოახერხეს ვერც ერთი ოქროს მედლის მოპოვება. ყველა მათგანი ხომ ძალზე ძლიერი იყო: ერთი ორთაბრძოლის წაგების შემდეგ, რაც ძირითადად არბიტრების ბრალი იყო, ისინი შემდეგ აღწევდნენ მაქსიმუმს, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა იმ პირობებში, რომელშიც მათ აყენებდა ძიუდოს წესები — იგებდნენ დანარჩენ შეხვედრებს და მესამე ადგილებზე გადიოდნენ...

ლ. არკაევი: — მსაჯების არაობიექტურობის პრობლემა ყველა იმ სახეობას ეხება, რომლებშიც გამარჯვებულის გამოვლენა დამოკიდებულია არა კონკრეტულ წამებზე, ქულებსა და მეტრებზე, არამედ არბიტრის სუბიექტურ შთაბეჭდილებაზე. საქმე ის არის, რომ მთელი რიგი საერთაშორისო ფედერაციების წარმომადგენლებს მიაჩნიათ: „ოქრო“ წილად უნდა ხვდეს რაც შეიძლება მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებიც ასპარეზობაში მონაწილეობენ. გარდა ამისა, დასავლეთის ზოგიერთ სპორტულ ფუნქციონერს არ მოსწონს, როცა საბჭოთა სპორტსმენები უმაღლეს ჯილდოებს მოიპოვებენ ხოლმე. და აი, ხდება, რომ ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ წაგვართვან მედლები, „თანაბრად გაანაწილონ“ ისინი დანარჩენ მონაწილე ქვეყნებს შორის.

ნ. ენდელაძე: — აქ ითქვა სწორ ფსიქოლოგიურ განწყობაზე, ამიტომ მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ სწორედ ამის წყალობით გამოვიდა ბრწყინვალედ ოლიმპიურ ასპარეზობაზე ვლადიმერ აფციაური, გამოიჩინა გუნდური მებრძოლის ნამდვილი თვისებები, რომელიც პირველი იწყებდა ორთაბრძოლებს და უთოდ იგებდა მათ. შემთხვევითი არ არის, რომ სსრ კავშირის რაპირისტთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე პერეკალსკიმ და გუნდის კაპიტანმა ალექსანდრე რომანკოვმა ერთხმად განაცხადეს: აფციაურის წყალობით გავხდით ჩემპიონებიო!.

ლ. არკაევი: — თანაგუნდელთა შორის პირველი გამოდიოდა ფიცარნაგზე ვლადიმერ გოგოლაძეც. პირველად დამწყების როლი ძნელია, მასზე დამოკიდებულია საწყისი შეფასება, რომელიც დანარჩენი ტანმოვარჯიშეებისა და არბიტრებისათვის ორიენტირი ხდება. ამ როლს ბრწყინვალედ შესრულებაში ვლადიმერს დაეხმარა კონცენტრირების იშვიათი უნარი, იგი არ ღელავდა ყველაზე პასუხსაგებ მომენტებშიც კი. მრავალი დიდი სპორტსმენი ვიცი, რომლებიც ასეთ შემთხვევაში „გადაიწვებიან“ ხოლმე. გოგოლაძე კი პირიქით — რაც უფრო პასუხსაგები იყო გამოსვლა, მით უფრო მობილიზებული იყო.

ჩვენი ტანმოვარჯიშეები დომინირებდნენ მთელი ოლიმპიადის მანძილზე. გაგიმხელთ მათი მომზადების ერთ-ერთ საიდუმლოს: საწვრთნელ შეკრებებზე ჩვენ ვქმნით შეჯიბრების ატმოსფეროს, რომლის სიმძაფრე რამდენჯერმე აღემატება ოფიციალური ტურნირების დატვირთვას.

ლ. სანაძე: — სწორედ ინტენსიურმა წვრთნამ თანამედროვე მეთოდიკით მისცა შესაძლებლობა მძლეოსნებს მოეპოვებინათ წარმატება, რომლებმაც 10 უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს და ამ მაჩვენებლის მიხედვით მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს ჩამორჩნენ (12 მედალი), მაგრამ გაუსწრეს მრისხანე მეტოქეებს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებს (6 მედალი). ჩვენ გადავდგით სარისკო ნაბიჯი, რომელმაც გაგვიმართლა, — გუნდში შევიყვანეთ 17-22 წლამდე ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენი. მათ ჩინებულად გამოიჩინეს თავი და რაც, ნაკლებადმნიშვნელოვანი როდია, შეიძინეს გამოცდილება. ეს კი მომავალში მათი წარმატებების იმედს გვინერკავს. ამით უკვე დავადექით 1992 წლის ოლიმპიადის კურსს.

ბევრს აინტერესებს, რატომ არ მონაწილეობდა მაია აზარაშვილი, რომელმაც ოლიმპიადის ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა, 4X100 მეტრზე ამანათრბენის გადამწყვეტ გარბენებში. სრული სიცხადე უნდა შევიტანოთ ამ საკითხში. შარშან მაიამ შეიცვალა პროფილი და დაიწყო 400 მეტრზე რბენაში მომზადება. სეროზულად ვარჯიშობდა, მაგრამ შედეგები არც ისე სწრაფად იზრდებოდა, რთგორც გვსურდა. გადაწყდა, იგი კვლავ დაგვებრუნებინა სპრინტში, და აღმოჩნდა, რომ დრო ფუჭად არ დახარჯულა, მან აქ მზარდი შედეგები აჩვენა. ამას მოწმობს მისი ისეთი მიღწევაც, როგორიცაა 200 მეტრზე რბენის ოლიმპიურ ფინალში მონაწილეობა.

ამანათრბენის საგანაცხადო სიაში შედის 5-6 სპორტსმენი. ნებისმიერ გარბენში თუნდაც ერთ ეტაპზე ყოველ გამომსვლელს მედლის უფლება აქვს. მაია შეუერთდა ოთხეულს, რომელიც მთელი წლინახევრის განმავლობაში ოლიმპიადისათვის ემზადებოდა. ამიტომ, რაკი რისკის გაწევა არ უნდოდათ, მწვრთნელებმა ნახევარფინალსა და ფინალში „შეთამაშებული“ შემადგენლობა გამოიყვანეს. მაიამ კი პატიოსნად მოიპოვა მედალი, კარგად კამოვიდა წინასწარ გარბენებში. მაგრამ, როგორც გამოირკვა, სამხრეთკორეელი მსაჯები თურმე კარგად როდი ერკვეოდნენ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წესების ყველა ნიუანსში და იძულებული გავხდით მიისათვის მედლის გადაცემა გადაგვედო თბილისში გამართულ ზეიმში ჩვენს შეხვედრამდე.

ვ. ბრომიკო: — ძალიან კარგია, რომ მარტო ჩემპიონებს კი არა, დანარჩენ პრიზიორებსაც შევეხეთ. სამწუხაროდ, ჩვენში ოლიმპიური „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“, რომ აღარაფერი ვთქვათ მეოთხე--მეექვსე ადგილებზე, რამდენადმე გაუფასურდა და ლამის სპორტსმენის ჩავარდნად მიიჩნინონ. ეს კი სავსებით არასწორია. ყოველი ოლიმპიური მედალი და ადგილიც კი უძლიერესთა შორის დიდი მიღწევაა. ვფიქრობ რომ, შევეჩვიეთ რა გამარჯვებებს, ვაკნინებთ იხეთ მიღწევებს, როცა სხვა ქვეყნებში პრიზიორებსაც პატივს მიაგებენ, როგორც გამარჯვებულებს, დღესასწაულის ლაურეატებს.

ნ. ენდელაძე: — დიახ, ოლიმპიური ასპარეზობა ნამდვილი დღესასწაული იყო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ „ერთი კოვზი კუპრიც“ გამოერია. მხედველობაში გვაქვს სპორტსმენთა მიერ აკრძალული სამედიცინო პრეპარატების გამოყენება. ასეთი 10 შემთხვევა აღირიცხა. სამწუხაროდ, სპორტში შეჯიბრებებთან ერთად მედიკოსთა შეჯიბრებაც მიმდინარეობს, რომლებიც იგონებენ ათასგვარ მასტიმულირებელ საშუალებას, მათმა რიცხვმა უკვე 10 ათასს მიაღწია. დოპინგს სეულში მკაცრი ბრძოლა გამოუცხადეს, რომელიც კვლავაც გაგრძელდება. და ბევრად — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მეცადინეობის მეოხებით. მათმა ხელმძღვანელებმა მ. გრამოვმა და რ. ჰელმიკმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას დოპინგთან ბრძოლის ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ. ინიციატივას მხარი დაუჭირეს ბევრ ქვეყანაში. ვფიქრობ, ეს გავლენას მოახდენს ბარსელონის ოლიმპიადაზეც.

ვ. ბრომიკო: — სხვათა შორის, ბარსელონის ოლიმპიადა შორს აღარ არის და მზად უნდა ვიყოთ ყოველი მოულოდნელობისათვის, როგორც ეს სეულში იყო. იქ ყველაზე მეტი მოულოდნელობა ასპარეზობის მასპინძელთა მეოთხე გუნდური ადგილია, რომლებმაც 33 მედალი დაიმსახურეს. თუ მსოფლიო სპორტულმა საზოგადოებრიობამ იცოდა, როგორ ემზადებოდნენ სამხრეთ კორეაში ოლიმპიადის მასპინძლობისათვის, ამ ქვეყნის სპორტსმენთა მომზადებაზე თითქმის არაფერი იყო ცნობილი. არადა, ისინი გულდასმით ემზადებოდნენ, მათთვის ყველა პირობა იყო შექმნილი. შედეგიც კარგია — მოიპოვეს წარმატებანი ბევრ სახეობაში, რომლებშიც წინათ სამხრეთკორეელ სპორტსმენებს თავი არ გამოუჩენიათ.

უდავოა, „მშობლიურმა კედლებმაც“ შეასრულეს თავიანთი როლი, მხედველობაში მაქვს არა მარტო ქომაგთა მხარდაჭერა, არამედ ცალკეულ შემთხვევებში — მსაჯებისაც. წარმოეგდა „ეროვნული სულისკვეთების“ მძლავრი მიზანმიმართული პროპაგანდა, თავისი სპორტსმენის თითოეულ სტარტს ანიჭებდნენ პოლიტიკურ, საერთოეროვნულ მნიშვნელობას. ალბათ, იგივე მოხდება ესპანეთშიც. ამ ქვეყნის სპორტსმენები უეჭველია არაერთ სიურპრიზს შემოგვთავაზებენ იმ სახეობაში, სადაც ისინი ფავორიტებად არ ითვლებიან, და, გარდა ამისა, სპორტულ მიღწევათა დონე იზრდება ყველა ქვეყანაში. ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ დღეს, და უკვე ახლა დავადგეთ 1992 წლის ოლიმპიადის ზუსტად შემოწმებულ კურსს.

საუბარი ჩაიწერეს საქინფორმის კორესპონდენტებმა, ვ. ბოლოვინმა და შ. შალოლაშვილმა.

პატივი ვცეთ მშობლიურ ენას

ძვირფასო რედაქციავ! მე თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ. „ლელოში“ არაერთხელ წამოჭრილა საკითხი იმის შესახებ, რომ ქართული საფეხბურთო გუნდების მატჩის დროს ელექტრატაბლოზე რუსული წარწერებია. სამწუხაროდ, იგივე ხდება ქუთაისში, „ტორპედოს“ ცენტრალურ სტადიონზე. მაგალითად, „ტორპედოს“ და რუსთავის „მეტალურგის“ შეხვედრის დროსაც კი ტაბლოზე რუსული წარწერები ციმციმებდნენ. რატომ? ორივე გუნდი ხომ საქართველოდანაა. გთხოვთ დაგვეხმაროთ, იქნებ თქვენი გაზეთის მეშვეობით მივაღწიოთ იმას, რომ სტადიონის დირექციამ პატივი სცეს ქართულ ენას.

გიორგი კაკაბაძე.

ქუთაისი.

რედაქციისაგან: პასუხს მკითხველის ამ შენიშვნაზე რედაქცია ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან ელოდება.

განვიხილავთ პროექტს

გავითვალისწინოთ ინსტიტუტში ჩარიცხვისას

პატივცემულო რედაქციავ!

გვინდა ჩვენი აზრი მოგახსენოთ ფიზიკურ მომზადებაში უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ნორმატივების შესახებ. ვფიქრობთ, აბიტურიენტს, რომელიც მიიღებს ჩათვლას, უნდა დაეწეროს 1 ქულა და ის ქულა გათვალისწინებულ უნდა იქნეს საერთო ქულების ჯამში აბიტურიენტის ჩარიცხვისას. ის აბიტურიენტი, რომელიც ნორმატივებს ვერ ჩააბარებს, ქულა არ დაეწეროს. ეს საჭიროა, რათა ნორმატივების ჩაბარებას ფიზიკურ მომზადებაში რაღაც გავლენა ჰქონდეს. მაგალითად, წელს თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლას აბიტურიენტთა ჩარიცხვისას.

სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის მასწავლებლები.

ცხინვალი.

გამოხმაურება წერილზე: „მილფეულიდან — ახალი ეროვნული პრობლემებამდე“

ბოლომდე ჩავნვდეთ პრობლემებს

ამ დღეებში თქვენს გაზეთში გავეცანი საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის ვრცელ მასალას, სადაც შეჯამებულია ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგები. ასეთი პირდაპირობა, ნაკლოვანებების ასე დაუფარავად მხილება, თანაც კონკრეტული პიროვნებების მითითებით, დიახაც რომ საჭიროა და აუცილებელი. არადა, ბევრს გვეგონა, რომ ქართულ სპორტში ყველაფერი კარგადაა. თურმე რამდენი პრობლემა და რამდენი ნაკლოვანებები გვქონია, გულგრილი მუშაკებიც ბლომად გვყოლია.

არ ვიცი გაიზიარებთ თუ არა ჩემს აზრს, მაგრამ მინდა გირჩიოთ — კონტროლზე აიყვანეთ ყველა ფაქტი, მიეცით საშუალება ყველას, ვინც კოლეგიაზე გააკრიტიკეს, გვითხრას რას აპირებს, რა გზით და საშუალებებით ფიქრობს გარდაქმნას მუშაობა.

ქართული სპორტის ახალი მწვერვალებისკენ მიმავალ გზაზე ყველაფერი გარკვეული და ნათელი უნდა იყოს.

მერაბ ბადრიძე,
ინჟინერი.

თბილისი.

სსრ კავშირის გმირის გარი მერკვილაძის სახელობის ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი

გამარჯვება... დაულილი ნაკრებით

უკვე მრავალი წელია, ბათუმში ყოველწლიურად ტარდება სსრ კავშირის გმირის გარი მერკვილაძის სახელობის ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი. შეჯიბრებაში, დებულების თანახმად, მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდები. ასპარეზობაში, როგორც მასპინძლები, დამოუკიდებელ გუნდად გამოდიან აჭარის წყალბურთელებიც.

წლევანდელ ასპარეზობაში, რომელიც ახლახან გაიმართა, საქართველოს ნაკრები სარბიელზე ვერ გამოვიდა, თუმცა, იგი საასპარეზოდ ბათუმში ჩავიდა.

რა მოხდა? აღმოჩნდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებში, თბილისელების გარდა, ორი ქუთაისელი (ნოდარ ჩხარტიშვილი, სერგეი კირიაკიდი) და ერთიც ბათუმელი (ირაკლი ფანცხავა) წყალბურთელი ყოფილა, მაგრამ საასპარეზოდ, დებულების საწინააღმდეგოდ, ქუთაისელთა გუნდიც დაუშვიათ.

არა, შეჯიბრებაში ქუთაისელთა ნაკრების მონაწილეობის წინააღმდეგი არავინ ყოფილა. პირიქით! მაგრამ ასპარეზობის დაწყების წინ დაიბადა კითხვა — რომელ გუნდში უნდა ეთამაშათ საქართველოს ნაკრების წევრ ქუთაისელ წყალბურთელებს. გადაუწყვეტიათ, რომ ისინი... ორივე გუნდის შემადგენლობაში ითამაშებდნენ (!?). მართლაც, სომხეთის წინააღმდეგ იმ ორმა ქუთაისელმა ნაკრების შემადგენლობაშიც ითამაშა და ქუთაისელთა გუნდშიც. ცხადია, ეს წესის დარღვევა იყო (საბედნიეროდ, სტუმართა გუნდის წარმომადგენლებმა თვალი დახუჭეს, პროტესტი არ დაწერეს, თორემ საქართველოს ნაკრებს, ალბათ, მოგებულ შეხვედრას წაგებულად ჩაუთვლიდნენ).

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ 1973-74 წლებში დაბადებული (ასპარეზობაში ამ ასაკის სპორტსმენები გამოდიოდნენ) სპორტსმენებისთვის კი არა, უკვე გამობრძმედილი წყალბურთელებისთვისაც მეტად ძნელია ყოველდღე ორ-ორი შეხვედრის ჩატარება. ამიტომ საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი გურამ ნამგალაური იძულებული გახდა ის ორი ქუთაისელი ისევ ქუთაისელებისთვის დაეთმო. რაკი შეჯიბრებაზე ჩვენი ნაკრები დაიშალა, ბათუმელებსაც დაუბრუნეს თავიანთი წყალბურთელი. ასე რომ, შეჯიბრებაში, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრების ნაცვლად თბილისის გუნდი გამოვიდა. მართალია, საბოლოოდ მათ გაიმარჯვეს, მაგრამ, ალბათ, აჯობებდა, რომ საქართველოს ნაკრები თავისი სრული საბრძოლო შემადგენლობით გამოსულიყო. ეს ჩვენი გუნდის წევრებს ერთად თამაშის გამოცდილებას გაუღრმავებდა, რაც მომავალ წარმატებათა ერთ-ერთი საწინდარი გახდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისის ნაკრებმა ყველას აჯობა. მიუხედავად ამდენი ცვლილებებისა, მან დაამარცა სომხეთის, ბათუმის, მოლდავეთის, უაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ბელორუსიისა და ქუთაისის გუნდები, ხოლო თავად ერთადერთი წაგება მოსკოვის ნაკრებთან იწვნია.

საბოლოოდ თბილისელებმა 16 ქულა მოაგროვეს და მიუწვდომელნი გახდნენ მოსკოველთათვის, რომლებიც, თავის მხრივ, მოლდავეთისა და უაზახეთის გუნდებთან დამარცხდნენ, დანარჩენი მოიგეს და საბოლოოდ 14 ქულა დააგროვეს. 11 ქულით მესამე იყო სომხეთის გუნდი.



ბათუმელებმა და ქუთაისელებმა 8-8 ქულით VI-VII ადგილები დაიკავეს. ახლა გაგაცნობთ გამარჯვებულთა შემადგენლობას. აი, ისინიც, — გუნდის რვა წევრი: გიორგი გოგუაძე, გიორგი ფირანიშვილი, ზურაბ ალავიძე, მერაბ ჩიხრაძე (გუნდის კაპიტანი), ლევან მურვანიძე, გიორგი ელიავა, ზურაბ დაფქვიაშვილი და გიორგი მამუჩაშვილი საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების (გენერალური დირექტორი შალვა ამონაშვილი) ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სპორტსკოლის (დირექტორი მერაბ ქართველიშვილი) აღსაზრდელები არიან, გურამ ნამგალაური კი არა მხოლოდ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელია, არამედ მათი პირადი აღმზრდელიც. მის აღსაზრდელებს საკავშირო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში არაერთხელ მოუპოვებიათ სხვადასხვა საპრიზო ადგილი. გუნდის მეკარე გოგუაძე კი ამას წინათ დამთავრებულ საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებული თბილისის უნივერსიტეტის სახელსაც იცავდა.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ბათუმში გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას. მის რიგებში იყვნენ აგრეთვე, დინამოელები ვიორგი ბურდული, ნიკოლოზ გიორგაძე და ავთანდილ მაღლაკელიძე.

იმედია, ბათუმში მოპოვებული წარმატება ჩვენს ჭაბუკ წყალბურთელებს საკუთარი ძალების რწმენას უფრო განუმტკიცებს.

ავთანდილ ბუკია.

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული თბილისის გუნდი.

ოლიმპიადა ოლიმპიადის შემდეგ

ოქტომბერში მეორედ ჩაქრა ჩირაღდანი სეულის ოლიმპიურ სტადიონზე. ამჯერად აქ დასრულდა ინვალიდთა თამაშები, რომლის დევიზი იყო „სძლიე შენს თავს და გაიმარჯვებ“. ამგვარ შეჯიბრებაში, რომელიც უკვე მერვედ ჩატარდა, პირველად გამოვიდა საბჭოთა კავშირის გუნდი. 22 უსინათლო ათლეტმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რუსეთის ფედერაციიდან, ლიტვიდან და ესტონეთიდან მონაწილეობა მიიღო მოცურავეთა და მძლეოსანთა შეჯიბრებებში. ჩვენმა სპორტსმენებმა დაიკავეს XII ადგილი (არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში), მოიპოვეს 21 ოქროს, 19 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი..

გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი გამოტოვებული მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„ტორპედო“ — „ლოკომოტივი“ 2:1 (1:1). გოლები: დოზმოროვი („ლოკომოტივი“), ი. სავიჩევი, გრეჩნევი („ტორპედო“).

გააფრთხილეს ტორპედოელი ი. სავიჩევი და ლოკომოტიველი სოლონცოვი.

დუბლიორები — 2:1.

„დინამო“ (მოსკოვი) — „არარატი“ 1:1 (0:0). გოლები: ოსიპიანი („არარატი“), კარატაევი („დინამო“). მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე დინამოელთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, მაგრამ ოსიპიანის დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე უვაროვმა.

დუბლიორები — 2:1.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი. მდგომარეობა 29 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	26	14	10	2	40-19	38
2. „ტორპედო“ (მოსკოვი)	26	14	7	5	33-21	35
3. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	26	13	9	4	36-22	35
4. „დინამო“ (კიევი)	26	13	9	4	36-16	35
5. „უალგირისი“ (ვილნიუსი)	26	12	7	7	33-26	31
6. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	26	10	7	9	32-31	27
7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	25	8	10	7	29-25	26
8. „შახტიორი“ (დონეცკი)	25	8	9	9	25-24	25
9. „არარატი“ (ერევანი)	26	8	9	9	18-23	25
10. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	26	9	6	11	22-30	24
11. „დინამო“ (მოსკოვი)	25	8	7	10	24-28	23
12. „დინამო“ (თბილისი)	26	8	5	13	25-32	21
13. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	26	6	9	11	25-33	21
14. „დინამო“ (მინსკი)	26	5	11	10	23-28	21
15. „ნეფთჩი“ (ბაქო)	26	5	5	16	24-40	15
16. „კაირატი“ (ალმა-ათა)	26	4	4	18	18-45	12

ადგილობრივი ლატარიები „ოქტომბერი“ 15 ნოემბრიდან 31 დეკემბერამდე

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო „სოიუზპეჩატი“

აბონემენტი გაზეთზე / ჟურნალზე 66435

„ღელო“

(გამოცემის დასახელება) | კომპლექტების რაოდენობა

1989 წლისათვის თვეების მიხედვით:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

სად

(საფოსტო ინდექ.) (მისამართი)

ვის

(გვარი, ინიციალები)

დაბარების ბარათი

სვ	ადგილი	ლიტ.

გაზეთზე / ჟურნალზე 66435

„ღელო“ გამოც. ინდექსი

(გამოცემის დასახელება)

| ღირებულება | ხელის მოწ. | | | | | | | | | | |

ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲑᲝᲜᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲔ

ᲐᲑᲝᲜᲔᲛᲔᲜᲢᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲕᲐᲡ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲐᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ.

ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ (ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ) ᲤᲝᲠᲛᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ �გᲐᲠᲔᲨᲘ, ᲐᲑᲝᲜᲔᲛᲔᲜᲢᲖᲔ ᲓᲐᲐᲥᲕᲗ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲨᲢᲔᲛᲞᲔᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘ. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲡ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲐᲑᲝᲜᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ (ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ) ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ ᲐᲜ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲚᲐᲓ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡᲐᲡ ᲐᲑᲝᲜᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲑᲚᲐᲜᲙᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘ ᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲛᲔᲚᲜᲘᲗ, ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘᲗ, ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, „ᲡᲝᲘᲣᲖᲞᲔᲩᲐᲢᲘᲡ“ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡᲐᲡ ᲗᲕᲘᲣᲠ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲡ „ᲡᲕ-ᲐᲓᲒᲘᲚᲘ“ ᲐᲕᲡᲔᲑᲔᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲓᲐ „ᲡᲝᲘᲣᲖᲞᲔᲩᲐᲢᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ.

ᲚᲔᲚᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

3. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ მიმდინარეობს ვახტანგ ქართველაძის მემორიალი. გთავაზობთ II და III ტურების ტექნიკურ შედეგებს:

II ტური: ტაბატაძე-ეფიმოვი — 0:1, ბალათუროვი-კომაროვი — 0,5:0,5, ლობჟანიძე-ხვცურიანი — 0,5:0,5, ლევინი-ცქიტიშვილი — 0,5:0,5, ტყებუჩავა-თორია — 0,5:0,5. გადაიდო ეპიშინ-ცეიტლინისა და ანასტასიან-მინასიანის პარტიები.

III ტური: ეფიმოვი-ტყებუჩავა 0:1, ცქიტიშვილი-ტაბატაძე — 0:1, მინასიანი-ეპიშინი — 0,5:0,5, კომაროვი-ლობჟანიძე — 0,5:0,5, გადაიდო თორია-ანასტასიანის, ხეცურიანი-ლევინისა და ცეიტლინი-ბალათუროვის პარტიები.

3 ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულითა და თითო-თითო გადადებული პარტიით დაწინაურდნენ ფელიქს ლევინი (ლვოვი) და არტაშეს მინასიანი (ერევანი). 1,5-1,5 ქულა აქვთ თამაზ ტაბატაძეს, გოჩა ტყებუჩავასა და დიმიტრი კომაროვს (ლენინგრადი).

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ,
„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.

ქუთაისი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ადრე სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ნოვოსიბირსკელმა მოჭადრაკემ იულია დიომინამ. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ალმა-ათაში მიმდინარე სსრ კავშირის 48-ე ჩემპიონატის მე-16 ტურში დიომინა დაუზავდა ლიუდმილა კულიკოვას (ერევანი), ახლა მას 11,5 ქულა აქვს. ლიდერს ქულანახევრით ჩამორჩება ირინა ჩელუშკინა (ლვოვი). შემდეგ მოდიან: ქეთევან კახიანი, სვეტლანა პრუდნიკოვა (ნოვოსიბირსკი) — 9,5-9,5, ნანა ალექსანდრია, ნინო გურიელი, ფლორა უსკოვა (ალმა-ათა) — 9-9. ნინო მელაშვილს 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲝᲜᲝᲖᲘ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 43 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.872.010 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგებაა 10.000 მანეთი. 12 შედეგის გამოცნობისთვის (29) — 4005 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (432) — 1.052 მანეთი.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) — **20.00;** სპორტული პროგრამა — „45 წუთი“ — **23.00;** დედოფლის გვირგვინისათვის — **23.45.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. I ლიგაში გადასასვლელი მატჩი: „ტორპედო“ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ) — „ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ“ (პავლოდარი) — **20.45.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Თ. ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲒᲝᲒᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ:

1. ფიზიოლოგიის კათედრის გამგე — 0,5 განაკვეთი, სპეციალობით ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
2. სროლის, მრავალჭიდისა და ფარიკაობის კათედრის გამგე — 1 ერთეული;
3. სროლის, მრავალჭიდის და ფარიკაობის კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მრავალჭიდის სპეციალობით;
4. ქართული, რუსული და უცხო ენების კათედრის დოცენტი რუსული ენის სპეციალობით — I ერთეული, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;
5. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრის დოცენტი — 1 ერთეული პედაგოგიკის სპეციალობით, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;
6. სპორტული მედიცინის კათედრის მასწავლებელი — I ერთეული სამკურნალო ფიზკულტურის სპეციალობით;
7. მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 2 ერთეული;
8. ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრის დოცენტი — I ერთეული ხელბურთის სპეციალობით — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;
9. ჭიდაობის, ძალოსნობისა და კრივის კათედრის უფროსი მასწავლებელი — I ერთეული ჭიდაობის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. 49, ტელ. 23-09-02.

ᲓᲝᲡᲚᲐᲐᲤᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ — ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢ ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ

ᲐᲕᲢᲝᲙᲚᲣᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲨᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ წრიულ ავტორბოლებში, რომელიც გასულ კვირას გაიმართა „რუსთავის წრეზე“, დიდი ხნის წინ, ადრეულ გაზაფხულზე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ, მიზეზთა გამო, საბჭოთა კავშირის გმირის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ნანეიშვილის სახელობის პრიზის გათამაშებით ავტომრბოლთა სპორტული სეზონი გახსნის ნაცვლად დაიხურა. რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ზემოთ დასახელებული პრიზის გათამაშებამ ეს ორი წელია შეცვალა „სეზონის გახსნის პრიზი“, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, საკავშირო ჩემპიონატისთვის მზადების ფუნქციაც ეკისრებოდა, ალბათ, უპრიანი იქნება, ავტომრბოლთა სეზონი კვლავ „გახსნის პრიზით“ დაიწყოს და ვ. ნანეიშვილის სახელობის პრიზის გათამაშებით დამთავრდეს. მით უმეტეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ავტომრბოლებიცა და ავტოსპორტის მოყვარულებიც არცთუ განებივრებული არიან ამ საინტერესო ასპარეზობებითა და სანახაობით.

გენერალ-ლეიტენანტ ვ. ნანეიშვილის პრიზის გათამაშება წელსაც, ისევე როგორც შარშან, საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მონაწილეთა შორის იყვნენ მოსკოველი, კრასნოდარელი, ტოლიატელი, ტაშკენტელი, სტავროპოლელი, ერევნელი სპორტსმენები, მოსკოვის ოლქის ქ. ვიდნოეს წარმომადგენლები. ჩვენი რესპუბლიკიდან ხუთი კოლექტივი მონაწილეობდა რბოლებში: ბათუმი, გორი, დოსაფის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბი, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს რესუბლიკური სპორტულ-ტექნიკური ავტოკლუბი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტოკლუბი. წელსაც, ისევე როგორც შარშან, გუნდური პირველი ადგილი და მთავარი პრიზი საქართველოს წარმომადგენლებმა მოიპოვეს, ოღონდ ამჯერად გაიმარჯვა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს რეს̆პუბლიკურმა სპორტულ-ტექნიკურმა ავტოკლუბმა, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო მსუბუქი ტაქსების №6 საწარმოს სპორტსმენებით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კლუბი არცთუ დიდი ხანია ჩამოყალიბდა, ბევრი გადაუჭრელი პრობლემა აქვს, მაგრამ კლუბის წევრების, სპორტსმენებისა და მწვრთნელების უდიდესი ენთუზიაზმის წყალობით ამ მცირე ხანშიც კი არაერთი წარმატება მოიპოვა. დიდი წვლილი შეაქვთ ავტოკლუბის წარმომადგენლებს რესპუბლიკის ნაკრების გამოსვლებშიც საკავშირო ასპარეზობებზე. პრობლემებს კი, ალბათ, მალე მოევლება, მით უმეტეს, რომ ავტოკლუბი საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ეკუთვნის, რომლის მინისტრიც, თეიმურაზ დავითაშვილი, რესპუბლიკის საავტომობილო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარეა.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢ ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ გათამაშებამ ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს ერეკებოდა, ალბათ, ამ ორ ფაქტორს ერეკებოდა ... ეს ... ეს ... ეს